



საქმე №1/ბ-555-12

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

07 ნოემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძე

მსჯავრდებულ **ზ. მ.-ს** სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXX): **ზ. შ.-ს – ძე მ.-ს** მიმართ, დაბადებულის **XXXX** წლის **XX** ივნისს **შ.-ში**, საქართველოს მოქალაქის, საშუალო–სპეციალური განათლების მქონის, დაოჯახებულის; ნასამართლობის არ მქონის; რეგისტრირებულის: **ხ.-ს** რაიონის სოფ. **ჩ.-ში**, ფაქტობრივად მცხოვრების: **ქ. გ.-ში**, **გ.-ს** დასახლება, კორპ. **#X**, ბინა **#XX**, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

აღწერილობითი - სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **ზ. მ.-მ** ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ზ. მ.-მ გამოძიებით დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – ხელყუმბარა. 2012 წლის 26 მარტს 16:20 საათზე, ქ. **თ.-ში**, მეტრო სადგურ „**ს.-თან**“ მდებარე გადასასვლელ ხიდთან ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა **ზ. მ.**, რომელსაც დაკავებისთანავე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად მისგან ამოღებული იქნა მის მიერ უკანონოდ, მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი საბრძოლო მასალა ხელყუმბარა, რომელსაც **ზ. მ.** უკანონოდ, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

ექსპერტიზის **#ამ/XXX** დასკვნის თანახმად, მითითებული ხელყუმბარა, მარკირებით „**XX–XX T**“, წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ ხელის მსხვრევად ყუმბარის „**PTД–5**“-ის კორპუსს სასკდომი მუხტით, რომელიც წარმოადგენდა ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნებოდა საბრძოლო მასალათა კატეგორიას, საბრძოლო გამოცდის ჩატარებამდე ვარგისი იყო დანიშნულებით გამოსაყენებლად, ხოლო ერთი ცალი ცილინდრული ფორმის ლითონის კონსტრუქცია ბერკეტით, ჭილიბითა და რგოლით, მარკირებით „**XX–XX Y3PTM XXX–X XXX–XX–XX**“ წარმოადგენდა ქარხნული წესით დამზადებულ, ხელყუმბარების „**Y3PTM**“-ის ტიპის საბრძოლო ფალიას, რომელიც წარმოადგენდა ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნებოდა საბრძოლო მასალათა კატეგორიას. საბრძოლო გამოცდის ჩატარებამდე ვარგისი იყო დანიშნულებით გამოსაყენებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 07 სექტემბრის განაჩენით **ზ. მ.** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, **ზ. მ.-ს** სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3 500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა **ზ. მ.-მ.**

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვს მის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 07 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა რა მსჯავრდებულ **ზ. მ.-ს** სააპელაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ **ზ. მ.-ს** დანაშაულებრივ ქმედებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება და იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი. პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ **ზ. მ.-ს** სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგი საფუძვლების გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის e) ქვეპუნქტის თანახმად „თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის

წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რაც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეებისთვის“. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის d) ქვეპუნქტის მიხედვით, „ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ამავე კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, „მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება“. აგრეთვე, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა“.

სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებული ექვის ქვეშ აყენებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებების, კერძოდ, ბრალდების მოწმეების – ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლების მიერ – მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებების რეალობას, მიუთითებს პოლიციელთა ჩვენებებში არსებულ უზუსტობებზე, წინააღმდეგობებსა და განსხვავებებზე, როგორცაა: პოლიციელებს არ ახსოვთ როგორ იყო მის სამოსზე განლაგებული ჯიბეები, რომელი ჯიბიდან ამოუღეს ხელყუმბარა, რა ფერის და რა მდგომარეობაში იყო ამოღებული ნივთი, როდის მოხდა ამოღებული ხელყუმბარის დალუქვა. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ თითოეული ადამიანის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია ყველამ ერთნაირად ვერ აღიქვას და დაიმახსოვროს ისეთი წვრილმანი ნიუანსები, როგორცაა ტანსაცმლის ფერი, ტანსაცმელზე ჯიბეების განლაგება, რომელ ჯიბეში რა ნივთი იყო შენახული და ა.შ. თუმცა მოცემული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა ბრალდების მხარის მოწმეებმა – ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა დ. ხ.-მ, ვ. რ.-მ, გ. შ.-მ და ბ. ს.-მ თავიანთ ჩვენებებში ამხილეს ზ. მ. დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, ყველა ზემოხსენებულმა მოწმემ თანმიმდევრულად აჩვენა, რომ მათ შემოსული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მეტრო სადგურ „ს.-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გადასასვლელ ხიდთან დააკავეს ზ. მ., რომელსაც ადგილზე ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც აღმოაჩნდა ხელყუმბარა, ამოღებული ხელყუმბარა დალუქეს ადგილზე, ლუქს ხელი ზ. მ.-მაც მოაწერა, ხოლო დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი შეადგინეს სამსახურში. რაც შეეხება ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის ადგილზე შეუდგენლობის მიზეზებს, ოქმში მითითებული გარემოება – „არ იყო სათანადო პირობები“ – ბრალდების ზემოხსენებულმა მოწმეებმა ახსნეს სასამართლოში მიცემულ თავიანთ ჩვენებებში, კერძოდ, ხალხის მოძრაობის გამო, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენა მოხდა სამსახურში. ბრალდების მხარის მიერ

წარმოდგენილი, **ზ. მ.-ს** დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ამ მტკიცებულებების საპირისპირო რაიმე მტკიცებულება (გარდა თვითონ **ზ. მ.-ს** ჩვენებისა), რაც სასამართლოს მისცემდა საშუალებას ემსჯელა მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მიერ მისი დაკავება უკანონოდ მოხდა, მიუთითებს მისი დაკავების – საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) და ე) ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებების – უსაფუძვლობაზე, ვინაიდან მისი ე.წ. პირადი ჩხრეკის ჩატარებამდე, წინასწარ პოლიციელებს არაფრით არ შეიძლებოდათ სცოდნოდათ, რომ იგი თითქოსდა ტანსაცმლის ჯიბით ატარებდა ხელყუმბარას. აღნიშნულ მოსაზრებას პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში არსებული 2012 წლის 26 მარტის ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით **ზ. მ.-ს** დაკავების საფუძველია არა საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ), არამედ ა) პუნქტით განსაზღვრული გარემოება – „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“. ხოლო პირადი ჩხრეკა დაიწყო 16:21 საათზე და არა 16:17 საათზე, როგორც ამას აღნიშნავს აპელანტი. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, **ზ. მ.-ს** დაკავების საფუძველი გახდა განყოფილებაში შემოსული ინფორმაცია, რომ **ზ. მ.-ს** ჰქონდა ხელყუმბარა, რაც დადასტურდა კიდევ დაკავებისას ერთი წუთის შემდეგ ჩატარებული პირადი ჩხრეკით. ბუნებრივია, რომ პირს ვერ ჩაუტარდება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით პირადი ჩხრეკა, თუ იგი არ იქნება დაკავებული, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან“. რაც შეეხება დაკავების საფუძველად „პირის შესაძლო მიმალვის“ მითითებას, პალატის აზრით, აღნიშნული წარმოადგენს დამკავებელი პირის წმინდა სუბიექტურ მოსაზრებას. მოცემულ შემთხვევაში **ზ. მ.-ს** დამკავებელი პოლიციელები წარმოადგენენ გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს თანამშრომლებს, რომლებიც ასრულებდნენ ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას და ა.შ. (საქართველოს სსსკ-ის 172-ე მუხლი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარეს არ უსარგებლია უფლებით, დაეკითხა ბრალდების მოწმეები – პოლიციის თანამშრომლები იმ კუთხით, თუ რას ემყარებოდა **ზ. მ.-ს** დაკავებისას მათი ვარაუდი ამ უკანასკნელის შესაძლო მიმალვის თაობაზე.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საგამოძიებო ორგანოს **ზ. მ.-ს** დასაკავებლად და პირადი ჩხრეკის საწარმოებლად უნდა ჰქონოდა ერთდროულად რამდენიმე მტკიცებულება ან ინფორმაცია (პირის ჩვენება, რომლისგანაც შეიძინა ხელყუმბარა, პირის ჩვენება, რომელმაც დაინახა რა გარემოებებში შეიძინა **ზ. მ.-მ** ხელყუმბარა, რა მიზნით შეიძინა და რის განხორციელებას გეგმავდა **ზ. მ.** ამ ხელყუმბარით და ა.შ.), რომ მხოლოდ ამგვარ მტკიცებულებათა არსებობის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო **ზ. მ.-ს** გადაუდებელი დაკავება და პირადი ჩხრეკა. პალატა აცხადებს, რომ როგორც ზემოთ აღნიშნა, **ზ. მ.-ს** მიმართ განხორციელებული ქმედებების საფუძველი გახდა ქ. თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში შემოსული ოპერატიული ინფორმაცია, რომ **ზ. მ.-ს** ჰქონდა ხელყუმბარა. აღნიშნული ინფორმაციის მიღება დასტურდება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 26.03.2012წ. #XXX პატაკით, რომელიც შედგენილია ამავე განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის **ზ. ო.-ს** მიერ. **პალატა განმარტავს, რომ იმისდა მიხედვით, ცნობილია თუ არა წყარო, ინფორმაცია**

შესაძლებელია იყოს ანონიმური და ოპერატიული. ოპერატიული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც ძირითადად პოლიციისთვის მიწოდებულია პოლიციის კონფიდენციალური თანამშრომლების (კონფიდენტების) მიერ. განსხვავებით ანონიმური ინფორმაციისგან, ოპერატიული ინფორმაციის წყარო ცნობილია კანონით ზუსტად განსაზღვრული პირებისათვის, მაგრამ დაუშვებელია წყაროს საჯარო დასახელება. არც ოპერატიული და არც მითუმეტეს ანონიმური ინფორმაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. ასეთი სახის ინფორმაცია თავისთავად არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რის გამოც უნდა მოხდეს მათი გადამოწმება კანონით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და დადასტურება მოხდა ზ. მ.-ს პირადი ჩხრეკით. ბუნებრივია, პოლიციის თანამშრომლები ვერ გაამხელდნენ ინფორმაციის მიღების წყაროს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარეს არ უსარგებლია მტკიცებულებათა მოპოვების უფლებით ზ. ო.-ს დაკითხვასთან მიმართებაში.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებს – რატომ არ ჩაატარა გამოძიებამ ზ. მ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა, რატომ არ დანიშნა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ხელყუმბარაზე და მიკრონაწილაკების ექსპერტიზა და მისი შედარება ქურთუკის ნაწილაკებთან, სასამართლო პალატა კვლავ აცხადებს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა, მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, შესაბამისად ვერავინ აუკრძალავს მხარეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას. დაცვის მხარის არც ერთ წარმომადგენელს ზემოხსენებული შეკითხვები არ დაუსვამს ბრალდების მხარის მოწმეებისთვის საქმის არსებითი განხილვის დროს. ამასთან, დაცვის მხარეს შეეძლო ესარგებლა მტკიცებულებათა მოპოვების უფლებით და თვითონ დაენიშნა და ჩაეტარებინა ექსპერტიზა ზ. მ.-ს ქურთუკის შიდა მარჯვენა ჯიბეში (დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით სადაც აღმოჩნდა ხელყუმბარა) ლითონის მიკრონაწილაკების კვალის თაობაზე, რასაც სასამართლო შემდგომ გახდიდა მსჯელობის საგნად. აგრეთვე, სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის პრეტენზიებს, რომ არც გამოძიების და არც სასამართლო განხილვის დროს მისთვის არ დაუსვამთ შეკითხვა, თუ საიდან, ვისგან, რა პირობებში, რა მიზნით შეიძინა ხელყუმბარა და რას გეგმავდა იგი. ზ. მ. თავდაპირველად იყენებდა დუმილის უფლებას, ხოლო შემდგომ როგორც გამოძიებაში, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში საერთოდ უარყო, რომ მას ჰქონდა ხელყუმბარა. ბუნებრივია, ზ. მ.-სათვის ხელყუმბარის წარმომავლობის თაობაზე რაიმე შეკითხვის დასმა ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული.

თავის სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებული ზ. მ. ეჭვის ქვეშ აყენებს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ხელყუმბარა, რომელსაც ჩაუტარდა საექსპერტო გამოკვლევა, ნამდვილად ის ხელყუმბარაა, რომელიც, თითქოსდა, მისგან პირადი ჩხრეკის დროს იქნა ამოღებული. აპელანტის ეჭვი განპირობებულია იმით, რომ პირადი ჩხრეკის ოქმიდან არ ირკვევა, რა მარკის, რა სახეობის ან შეფერილობის ასაფეთქებელი მოწყობილობა იქნა ამოღებული, ოქმში მითითებული არ არის ამოღებული „მოწყობილობის“ მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს აპელანტის ზემოხსენებულ მოსაზრებებს შემდეგი მიზეზების გამო: ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 26 მარტის ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დასტურდება ზ. მ.-სგან პირადი

ჩხრეკის დროს ხელყუმბარის ამოღების ფაქტი, ოქმში მითითებულია, რომ ეს არის „ხელყუმბარა“, „მომწვანო“ ფერის, რაც შეეხება მარკას, რა თქმა უნდა, ხელყუმბარის ტიპის დადგენა საჭიროებდა ექსპერტის სპეციალურ ცოდნას და ხელყუმბარის მარკა ვერ იქნებოდა მითითებული პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმში. აღნიშნული ოქმით ასევე დასტურდება, რომ **ზ. მ.-სგან** ამოღებული ხელყუმბარა შეიფუთა პოლიეთილენის პარკში და დაილუქა. ლუქზე ხელმოწერის ფაქტს არც თვითონ **ზ. მ.** უარყოფს, თუმცა თავის ჩვენებებში აღნიშნავს, რა გარემოებებში მოაწერა ლუქზე ხელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა თვითონ **ზ. მ.-ს** ჩვენებისა, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა **ზ. მ.-ს** მიერ ლუქზე მოტყუებით ხელის მოწერის ფაქტს, განსხვავებით ბრალდების მხარის მტკიცებულებებისა, როგორცაა **დ. ხ.-ს, ვ. რ.-ს, გ. შ.-ს, ბ. ს.-ს** ჩვენებები, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი. 2012 წლის 26 მარტის #XXXXXXXXXX მიმართვით და ამავე თარიღის #XXXXXXXXXX დადგენილებით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაგზავნილია ზუსტად ის ხელყუმბარა, რაც **ზ. მ.-ს** პირადი ჩხრეკის დროს არის ამოღებული, 2012 წლის 27 მარტის #ამ/XXX ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდა და გამოკვლეულ იქნა ზუსტად ის ხელყუმბარა, რაც **ზ. მ.-ს** პირადი ჩხრეკის დროს იქნა ამოღებული, ამასთან, ექსპერტი დასკვნაში მიუთითებს, რომ „პაკეტისა და ლუქის მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა“. ამრიგად, პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ მოვლენათა განვითარების მსვლელობა – **ზ. მ.-სგან** პირადი ჩხრეკისას ჩატარებისას ხელყუმბარის ამოღება – ამოღებული ხელყუმბარის დალუქვა – დალუქული ხელყუმბარის ექსპერტიზაზე გადაგზავნა – **ზ. მ.-სგან** ამოღებულ ხელყუმბარაზე საექსპერტო გამოკვლევის ჩატარება – დარღვეული არ ყოფილა და შესაბამისად არ არსებობს ეჭვი, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდა და დასკვნა გაცემულია სწორედ **ზ. მ.-ს** პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ხელყუმბარაზე. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში არ არის მითითებული **ზ. მ.-სგან** ამოღებული ხელყუმბარის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, აღნიშნულთან დაკავშირებით პალატას მიაჩნია, რომ ზემოხსენებული არ წარმოადგენს კანონის ისეთი არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, რაც მისი დაუშვებლობის საფუძველი გახდებოდა, ვინაიდან დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისას, ხელყუმბარა უკვე დალუქული იყო (ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დაილუქა **ზ. მ.-ს** დაკავების ადგილზე) და შესაბამისად აღარ მოხდებოდა მასზე ლუქის ახსნა მაიდენტიფიცირებელი ნომრების ოქმში ჩაწერის მიზნით. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჩხრეკის ოქმში ამოღებული ნივთმტკიცების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების არარსებობის მოტივით დაცვის მხარეს წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლობის შუამდგომლობა არ დაუყენებია, აგრეთვე, დაცვის მხარეს კანონით დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2012 წლის 27 მარტის განჩინება, რომლის თანახმად კანონიერად იქნა ცნობილი 2012 წლის 26 მარტს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამომიებო მოქმედება – **ზ. მ.-ს** პირადი ჩხრეკა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებების: მოწმის სახით დაკითხული **გ. შ.-ს, ბ. ს.-ს, ვ. რ.-ს, დ. ხ.-ს, ზ. ყ.-ს** ჩვენებებით, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2012 წლის 27 მარტის განჩინებით, #ამ/XXX ექსპერტიზის დასკვნით – სააპელაციო პალატას გონივრულ

ექვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიაჩნია, რომ **ზ. მ.-მ** ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

პალატა თვლის, რომ **ზ. მ.-ს** მიმართ დანიშნული სასჯელი სრულად შეესაბამება როგორც მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, იგი სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

სასჯელის დანიშვნის დროს პალატა ასევე ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მას განესაზღვრა სამართლიანი სასჯელი, რასაც პალატა ეთანხმება.

ამასთან, სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ დაცვის მხარის მიერ სააპელაციო პალატის წინაშე **ზ. მ.-ს** უდანაშაულობის დამადასტურებელი რაიმე დამატებითი მტკიცებულება, რაზეც სასამართლო იმსჯელებდა, არ წარმოდგენილა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 07 სექტემბრის განაჩენი **ზ. მ.-ს** მიმართ არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი **ზ. მ.-ს** მიმართ უნდა დარჩეს უცვლელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 295-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ **ზ. მ.-ს** სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 07 სექტემბრის განაჩენი **ზ. მ.-ს** მიმართ დარჩეს უცვლელი.

ზ. მ. ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს მთლიანად და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, **ზ. მ.-ს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 3 500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

ზ. მ.-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 26 მარტიდან;

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ **ზ. მ.-ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა.

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოტანისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა) მისი გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

/გ. კახეთელიძე/